არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“

წ ე ს დ ე ბ ა

2020 წელი

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 2. GDI-ის საქმიანობის მიზანი და საგანი

მუხლი 3. GDI-ის საქმიანობის ფორმა

მუხლი 4. GDI-ის წევრობა, დამფუძნებელ წევრთა (წევრთა) უფლება–მოვალეობები

მუხლი 5. GDI-ის დამფუძნებელთა კრება

მუხლი 6. GDI-ის გამგეობა

მუხლი 7. ხელმძღვანელობა, წარმომადგენლობა და ორგანიზაციის მართვა

მუხლი 8. GDI-ის ქონება

მუხლი 9. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება ქართულად: **„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“.**

1.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება ინგლისურად: **Georgian Democracy Initiative (GDI).**

1.3 „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (შემდგომში **GDI**) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმების და ამ წესდების შესაბამისად.

1.4 **GDI**-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.5 **GDI** არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

1.6 **GDI**-ის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. მე-2 ჩიხი, №4-8, ბინა 6.

1.7 **GDI**-ის ოფიციალური ვებგვერდია - www.gdi.ge, ხოლო ოფიციალური ელ.ფოსტის მისამართია - contact@gdi.ge.

1.8 **GDI** თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

1.9 **GDI**-ის გააჩნია საკუთარი ქონება, აგრეთვე ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. **GDI** უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, დადოს ხელშეკრულებები, კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს ფილიალები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის აქტივებს, საქართველოს კანონმდებლობისა და ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო/ეკონომიკურ საქმიანობაში. **GDI**–ის ამოცანების განხორციელების მიზნით, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე არბიტრაჟსა და სასამართლოში წარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

1.10 **GDI** თავისი დამფუძნებელი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. **GDI**-ის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. **GDI**-ის

ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები), პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს **GDI** საკუთარი წევრების, თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) პირადი ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2. GDI-ის საქმიანობის მიზანი და ამოცანები:

2.1 **GDI**-ის მიზნია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და სამართლის უზენაესობის განმტკიცება.

2.2 აღნიშნული მიზნის მისაღწევად, **GDI** ისახავს შემდეგ ამოცანებს:

ა) ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია და მათ დაცვაზე ზედამხედველობა;
ბ) ინკლუზიური საზოგადოებისა და ტოლერანტული გარემოს წახალისება;
გ) დემოკრატიული მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება;
დ) საჯარო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებისა და ტრანსპარენტულობის ხელშეწყობა.

2.3. GDI აღნიშნულ მიზნებსა და ამოცანებს ემსახურება მონიტორინგის, საჯარო დებატების, ფაქტებზე დაფუძნებული კვლევების, პოლიტიკის ანალიზის, საარჩევნო პროცესზე დაკვირვების და საგანმანათლებლო საქმიანობისა და სხვა ფორმების მეშვეობით.

მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის ფორმა

3.1. **GDI** ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

3.2. **GDI** უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობას, რომლისგან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება **GDI**-ის დამფუძნებელ წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის, დაუშვებელია.

მუხლი 4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრობა, დამფუძნებელთა უფლება-მოვალეობები

4.1. **GDI**-ის დამფუძნებლები (დამფუძნებელი წევრები) არიან:
ა) გიორგი ტუღუში (პირადი N 01018001686);
ბ) გიორგი ვაშაკიძე (პირადი N 01030002550);

გ) გიორგი მშვენიერაძე (პირადი N 60002017512);
დ) ქეთევან ცხომელიძე (პირადი N 01008018821).

4.2. **GDI**-ის დამფუძნებელობა არ გადაეცემა სხვა პირებს და არც მემკვიდრეობით გადადის. დამფუძნებლებს აქვთ თანაბარი უფლებები.

4.3. დამფუძნებელს უფლებამოსილება უწყდება:
ა) წერილობითი განცხადების საფუძველზე;
ბ) გარდაცვალებისას;
გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
დ) წინამდებარე წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით;
ე) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

4.4. ამ მუხლის შესაბამისად, **GDI**-ის დამფუძნებლობიდან გარიცხვა ხდება დამფუძნებელთა კრების მიერ წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

4.5. **GDI** - ის დამფუძნებელს უფლება აქვს:
ა) იყოს **GDI**-ის გამგეობის წევრი ან სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს გამგეობის მუშაობაში;
ბ) მონაწილეობდეს **GDI**-ის პროგრამებში თავისი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად;
გ) ისარგებლოს **GDI**-ის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, საწესდებო მიზნების განხორციელებისას;
დ) **GDI**-ის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისგან მიიღოს ყველანაირი ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ;
ე) მონაწილეობა მიიღოს **GDI**-ის საქმიანობაში (მათ შორის, დამფუძნებელთა კრების საქმიანობაში).

4.6. **GDI-**ის დამფუძნებელი მოვალეა:
ა) გაუფრთხილდეს **GDI**-ის საქმიან რეპუტაციასა და ავტორიტეტს, კეთილსინდისიერად ასრულებდეს ამ წესდებითა და კანონდებლობით მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს;
ბ) დაიცვას კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი მოთხოვნები;
გ) არ გაახმაუროს **GDI**-ის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 5. GDI-ის დამფუძნებელთა კრება

5.1. GDI-ის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა დამფუძნებელთა კრება, რომელსაც იწვევს გამგეობა ან რომელიმე დამფუძნებელი წევრი. დამფუძნებელთა კრება იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

5.2. დამფუძნებელთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამფუძნებელთა ნახევარზე მეტი მაინც. კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ყოველ დამფუძნებელს აქვს ერთი ხმა.

5.3. GDI-ის დამფუძნებელთა კრებას გამგეობა იწვევს:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) გამგეობის თავმჯდომარის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

5.4. დამფუძნებელთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება სხვა დამფუძნებლებს შესაძლებელია მიეწოდოთ:

ა) დაზღვეული წერილით;
ბ) პირადად ჩაბარდეს ადრესატს;
გ) გაეგზავნოს ელ.ფოსტის მეშვეობით.

5.5. მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს კრების ჩატარებამდე 3 კალენდარული დღით ადრე მაინც. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი და დღის წესრიგი.

5.6. დამფუძნებელთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამფუძნებელთა ნახევარზე მეტი. დამფუძნებელს უფლება აქვს, კრების საქმიანობაში წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა.

5.7. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, გამგეობა იმავე ვადებში და წესით მოიწვევს განმეორებით დამფუძნებელთა კრებას, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა როდენობის მიუხედავად.

5.8. კრების მუშაობას ხელმძღვანელობს კრების თავმჯდომარე, რომელსაც აირჩევენ დამსწრე დამფუძნებლები.

5.9. კრების გადაწყვეტილებას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

5.10. დამფუძნებელთა კრება:

5.10.1 დამსწრეთა ორი მესამედის თანხმობით:

ა) იღებს და ცვლილებები შეაქვს წესდებაში;
ბ) გამგეობის წინადადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას **GDI**-ის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.
5.10.2 დამსწრეთა უმრავლესობით:
ა) იღებს გადაწყვეტილებას დამფუძნებლის **GDI**-დან გარიცხვის შესახებ;
ბ) ირჩევს გამგეობის არჩევით წევრებს;
გ) იღებს გადაწყვეტილებას წესდებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

მუხლი 6. GDI-ის გამგეობა

6.1. **GDI**-ის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა – რომელიც შედგება არაუმეტეს 9 წევრისაგან.

6.2. გამგეობის წევრები არიან დამფუძნებლები, ასევე, დამფუძნებელთა კრების მიერ არჩეული წევრები. გამგეობის არჩევითი წევრი აირჩევა 2 წლის ვადით. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება დამფუძნებელთა კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

6.3. გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა გამგეობის წევრთაგან, რომლის არჩევნებიც ტარდება ფარული კენჭისყრით. თავმჯდომარე არჩეულად მიიჩნევა, თუ კანდიდატი მიიღებს ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ 3 ხმისა. თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს გამგეობის ნებისმიერ წევრს.

6.4. გამგეობის სხდომები იმართება წელიწადში ორჯერ მაინც. სხდომის მოსაწვევები იგზავნება არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე სხდომის ჩატარების თარიღამდე და შეიცავს დღის წესრიგს.

6.5. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.6. თუ გამგეობის სხდომა უფლებამოსილი არ არის, გამგეობის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ახალი სხდომა მის ჩატარებამდე 3 დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთ შემთხვევაში გამგეობა უფლებამოსილი იქნება, თუ სხდომაზე წარმოდგენილი იქნება წევრთა მესამედზე მეტი მაინც.

6.7. გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა დირექტორის, გამგეობის თავმჯდომარის ან არანაკლებ გამგეობის 2 წევრის მოთხოვნით. გამგეობის რიგგარეშე სხდომის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ, გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ დაუყოვნებლივ.

6.8. გამგეობის წევრები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უნდა დაესწრონ სხდომას. თუ რომელიმე წევრს არ შეუძლია სხდომაზე დასწრება, მას დღის წესრიგში შემავალ საკითხებზე შეუძლია აზრი გამოთქვას და ხმა მისცეს ელექტრონული კომუნიკაციის (მეილი, ფაქსი და სხვა) მეშვეობით, რომლის შესახებაც მან სხდომამდე უნდა აცნობოს თავმჯდომარეს. გამგეობის სხდომა შესაძლოა ჩატარდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (ვიდეოტრანსლაცია, სკაიპი, ჩატი, ელ.ფოსტა და სხვ.).

6.9. გამგეობა (უფლებამოსილია):

ა) გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით, ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს. თუ თავმჯდომარედ გამგეობის არჩევით წევრს აირჩევენ, მას თავმჯდომარეობის უფლებამოსილება, გამგეობის წევრობის შეწყვეტასთან ერთად, ვადამდე შეუწყდება.

ბ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს GDI-ის პროგრამულ მიმართულებებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას და განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს;

გ) აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს **GDI**-ის შინაგანაწესსა და შიდა კონტროლისა და პროცედურული საკითხების მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებს;

დ) აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით უზრუნველყოფს **GDI**-ის სახელფასო განაკვეთებისა და საშტატო განრიგის დამტკიცებას;

ე) მის მიერვე დადგენილი წესით შეარჩევს ორგანიზაციის აღამსრულებელი დირექტორის კანდიდატურას, თანხმობას აძლევს **GDI-**ის თავმჯდომარეს აღმასრულებელ დირექტორთან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტაზე;

ვ) თავმჯდომარის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს **GDI**-ის სტრატეგიას, სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საქმიანობის მიმართულებებს;

ზ) თავად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, ამოწმებს **GDI-**ის საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს, ფინანსურ ანგარიშგებებს;

ი) ზედამხედველობას უწევს თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობას;

კ) უფლებამოსილია თავმჯდომარისგან ან/და აღმასრულებელი დირექტორისგან ნებისმიერ დროს მოითხოვოს საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენა;

ლ) განიხილავს და ამტკიცებს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ **GDI-**ის საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს;

მ) ახორციელებს ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6.10. გამგეობის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით;

ბ) წერილობითი განცხადების საფუძველზე;

დ) არჩევითი წევრის შემთხვევაში, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო;

დ) გარდაცვალებისას;
ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
ვ) კანონმდებლობითა და წესდებით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 7. ხელმძღვანელობა, წარმომადგენლობა და ორგანიზაციის მართვა

7.1. **GDI**-ის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები ერთობლივად ან ცალ-ცალკე არიან გამგეობის თავმჯდომარე (შემდგომში თავმჯდომარე) და აღმასრულებელი დირექტორი.

7.2. თავმჯდომარე:
ა) თავმჯდომარე მოქმედებს ორგანიზაციის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ბ) წესდებით დადგენილი წესით **GDI**-ის სახელით ხელშეკრულებას აფორმებს/წყვეტს აღმასრულებელ დირექტორთან;
გ) შეიმუშავებს გამგეობის სხდომის დღის წესრიგს, უზრუნველყოფს გამგეობის სხდომის მოწვევას და ჩატარებას, უძღვება გამგეობის სხდომების მიმდინარეობას და პასუხისმგებელია გამგეობის სხდომის ოქმის შედგენაზე;
დ) გამგეობის სახელით ხელს აწერს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
ე) მოთხოვნის შემთხვევაში, გამგეობას და/ან დამფუძნებელთა კრებას წარუდგენს დეტალურ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობაზე;
ვ) პასუხისმგებელია GDI-ის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში, ორგანიზაციის ყოველწლიური აუდიტორული შემოწმებისა და ფინანსური ანგარიშის მომზადებაზე, რომელსაც სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში წარუდგენს გამგეობას;
ზ) აღმასრულებელ დირექტორთან ერთად ამზადებს ორგანიზაციის სტრატეგიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას;
თ) პასუხისმგებელია GDI-ის საქმიანობის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვაზე;
ი) უზრუნველყოფს გამგეობის წევრთა ხელმისაწვდომობას GDI-ის ყველა ოპერაციაზე, საშუალებასა და დოკუმენტაციაზე;
კ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს, წყვეტს სხვა საკითხებს ან/და ახორციელებს უფლებამოსილებებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება დამფუძნებელთა კრების, გამგეობის ან აღმასრულებელი დირექტორის კომპეტენციას.

7.3 თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი ან გამგეობის გადაწყვეტილებით რომელიმე სხვა წევრი.

7.3. აღმასრულებელი დირექტორი

7.3.1 აღმასრულებელი დირექტორი ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას. ის ვალდებულია **GDI**-ის საქმიანობას წარუძღვეს გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით, მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების საფუძველზე. საკუთარი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ის ვალდებულია აანაზღაუროს ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალი. აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს ორგანიზაციის თავმჯდომარე.

7.3.2 აღმასრულებელი დირექტორი:

ა) ნიშნავს და ათავისუფლებს GDI-ის თანამშრომლებს;
ბ) კანონმდებლობისა და GDI-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად, განკარგავს **GDI**-ის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს, პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;
გ) პასუხისმგებელია ორგანიზაციისთვის დაფინანსების წყაროების მოძიებაზე, სავალდებულო აღრიცხვის უზრნველყოფასა და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაწესებული გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე;
დ) ორგანიზაციის სახელით აწარმოებს კომუნიკაციას დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან;
ე) ორგანიზაციის სახელით აწარმოებს კომუნიკაციას სხვადასხვა სახელმწიფო თუ ფინანსურ ინსტიტუტებთან, მათ შორის, საბანკო დაწესებულებებთან, ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტაციას.
ვ) საერთო კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის ადმინისტრაციულ და პროგრამულ საქმიანობას;
ზ) გამგეობის თავმჯდომარესთან ერთად უზრუნველყოფს ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული პროცედურების შემუშავებასა და სრულყოფას, და გამგეობისთვის დასამტკიცებლად წარდგენას.
თ) ანგარიშვალდებულია GDI-ის გამგეობის წინაშე.

7.3.3 აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს თავმჯდომარე.

მუხლი 8. GDI-ის ქონება

8.1. **GDI**-ის შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. GDI-ის ქონების და ფინანსური სახსრების წყაროებს შეადგენს: დამფუძნებელი წევრის (წევრების) შენატანები, ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულებანი, გრანტები და სხვა სახის კანონიერი შემოსავლები, რომლებსაც ორგანიზაცია მოიპოვებს თავისი ამოცანების შესრულების ხელშესაწყობად.

8.3. დაუშვებელია GDI-ის ქონების განაწილება დამფუძნებლებს, გამგეობის წევრებს ან დონორებს შორის, ასევე, ორგანიზაციის რესურსების არაკანონიერად გამოყენება.

8.4. GDI-ის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 9. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

9.1. GDI-ის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შესაძლებელია დამფუძნებელთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ლიკვიდირებული GDI-ის ქონება უნდა გამოიხატოს ფულში და დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონება გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცემა მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს.

9.3. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წინამდებარე წესდების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ამ წესდების რომელიმე ნორმის ძალადაკარგულად (ბათილად) აღიარება გავლენას ვერ იქონიებს მთლიანი წესდების იურიდულ ძალაზე.